ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს

2017 წლის 30 მარტის სხდომის

ოქმი № 2

სხდომას ესწრებოდა: 35 წევრიდან – 26.

დღის წესრიგი:

1. სხდომის თავმჯდომარის არჩევა
   მომხს: მ. შამილიშვილი
2. საბაკალავრო ნაშრომის დაცვის წესში ცვლილებათა შესახებ
   მომხს: თ. მატარაძე
3. დოქტორანტთა სადისერტაციო თემების სათაურების დამტკიცება
   მომხს: ს.დუნდუა
4. ინტერდისციპლინური სამაგისტრო პროგრამის - "მედიაფსიქოლოგია და კომუნიკაციები" განხილვა-დამტკიცება
   მომხს: რ.ჯორბენაძე
5. მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების განხორციელების შედეგებისა და 2017 წელს პროექტთა საფაკულტეტო დაფინანსების შესახებ
   მომხს.: ვ. მელიქიძე

მოისმინეს: 1. ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარის ავადმყოფობის გამო, საბჭოს მდივანმა სხდომის თავმჯდომარედ ვ. მელიქიძის კანდიდატურა წარმოადგინა.

აზრი გამოთქვეს : რ. ჯორბენაძემ, მ. წერეთელმა და სხვ.

დაადგინეს:სხდომის თავმჯდომარედ არჩეულ იქნას ვ. მელიქიძე, დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი

მოისმინეს: 2. ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსმა თ. მატარაძემ წარმოადგინა ცვლილებები საბაკალავრო ნაშრომების დაცვის წესში.

აზრი გამოთქვეს: მ. მაცაბერიძემ, მ. გერსამიამ, ი. კაჭკაჭიშვილმა, ზ. დავითაშვილმა, მ. წერეთელმა, ნ. ბელქანიამ, მ. შამილიშვილმა, ტ. ირემაძემ და სხვ.

დაადგინეს: დამტკიცდეს საბაკალავრო ნაშრომის დაცვის წესი გამოთქმული მოსაზრებების გათვალისწინებით (დოკუმენტი თან ერთვის).

მოისმინეს: 3. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მდივანმა ს. დუნდუამ დასამტკიცებლად წარმოადგინა დოქტორანტთა სადისერტაციო თემები

აზრი გამოთქვეს: მ. მაცაბერიძემ, მ. გერსამიამ, ი. კაჭკაჭიშვილმა, ზ. დავითაშვილმა, მ. წერეთელმა, ნ. ბელქანიამ, მ. შამილიშვილმა, ტ. ირემაძემ და სხვ.

დაადგინეს: დამტკიცდეს დოქტორანტთა სადისერტაციო თემები (დოკუმენტი თან ერთვის).

მოისმინეს: 4. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა რევაზ ჯორბენაძემ დამსწრეთ წარუდგინა სამაგისტრო პროგრამა - "მედიაფსიქოლოგია და კომუნიკაციები", რომელიც ინტერდისციპლინური დეპარტამენტის ფარგლებში უნდა განხორციელდეს. პროგრამის ხელმძღვანელია პროფესორი მ. გერსამია.

აზრი გამოთქვეს : ნ. ბელქანიამ, თ. მახარაძემ, ზ. დავითაშვილმა და სხვ.

დაადგინეს: საბჭოს წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ სამაგისტრო პროგრამას.

მოისმინეს: 5. ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ, ვ. მელიქიძემ, საბჭოს წევრებს გააცნო ინფორმაცია მიზნობრივი სამეცნიერო კვლევითი პროექტების წარმატებით შესრულების შესახებ. მან ისაუბრა 2015 და 2016 წლებში განხორციელებულ პროექტებზე. ხაზი გაუსვა, მათი შესრულების მაღალ დონეს; განსაკუთრებით გამოყო გასული წლის შედეგები. აქვე აღნიშნა, რომ მიუხედავად საუნივერსიტეტო დაფინანსების შეწყვეტისა, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, საკუთარი სახსრებით, მიმდინარე წელსაც განაგრძობს მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების დაფინანსებას და აცხადებს კონკურსს.

აზრი გამოთქვეს : თ. მატარაძემ, მ. შამილიშვილმა, მ. წერეთელმა, მ. მაცაბერიძემ და სხვ.

დაადგინეს: ცნობად იქნას მიღებული ვ. მელიქიძის განცხადება.

სხდომის თავმჯდომარე : ვ. მელიქიძე, ასოცირებული პროფესორი

ფაკულტეტის საბჭოს მდივანი: მ.შამილიშვილი, ასოცირებული პროფესორი

ფაკულტეტის დეკანი

თამარ დოლბაია

პოლიტიკის მეცნიერებათა დეპარტამენტი

1. ალექსანდრე კუხიანიძე
2. მალხაზ მაცაბერიძე
3. გია ჟორჟოლიანი
4. ნანა მაჭარაშვილი

საზოგადოებრივი გეოგრაფიის დეპარტამენტი

1. ვალერიან მელიქიძე
2. ნინო პავლიაშვილი
3. მარინა ბოკერია
4. გიორგი გოგსაძე

სართაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი

1.ზურაბ დავითაშვილი
2 სერგი კაპანაძე
3 ფიქრია ასანიშვილი
4 თორნიკე თურმანიძე

სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის დეპარტამენტი

1.იაგო კაჭკაჭიშვილი
2.ამირან ბერძენიშვილი
3.ნინო დურგლიშვილი
4.თამარ მახარაძე

ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის დეპარტამენტი

1.მარიამ გერსამია
2.დალი ოსეფაშვილი
3.მანანა შამილიშვილი
4.ნანა ტალახაძე
5.მარი წერეთელი

ინტერდისციპლინური კვლევების დეპარტამენტი

1.რევაზ ჯორბენაძე
2.ნოდარ ბელქანია
3.ზურაბ აბაშიძე
4.თეონა მატარაძე

სტუდენტური თვითმმართველობა

ტარიელ ირემაძე
ალისა სულამანიძე
ანნა ჯაყელი
მარიამ ეგეტაშვილი
მარიამ ლაცაბიძე
ელენე ლომსაძე
ანნა ცქიტიშვილი
გიორგი გოგატიშვილი
დიმიტრი სანაია

დანართი №1

საბაკალავრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესი

საბაკალავრო ნაშრომის მიზანი

საბაკალავრო ნაშრომის მიზანია სწავლის პროცესში მიღებული ცოდნის სისტემატიზაცია - დარგობრივი ცოდნის, კვლევითი, შემოქმედებითი თუ პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამოვლენა. საბაკალავრო ნაშრომი წარმოადგენს სტუდენტის მიერ ინდივიდუალურად ან ჯგუფურად შესრულებულ სამუშაოს. ჯგუფური სამუშაოს შემთხვევაში, ანოტაციაში უნდა გამოიკვეთოს და მიეთითოს თითოეული მონაწილის წვლილი.
საბაკალავრო ნაშრომში/პროექტში უნდა აისახოს სწავლის პერიოდში შეძენილი თეორიული თუ პრაქტიკული ცოდნა.

საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელი

საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელს სტუდენტი ირჩევს შესაბამისი მიმართულების აკადემიური პერსონალიდან (პროფესორი, ასოცირებული და ასისტენტ-პროფესორი). თუმცა, შესაძლოა, სტუდენტმა აირჩიოს მოწვეული სპეციალისტიც/პროფესორიც. საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი ორგანიზებას უწევს საბაკალავრო ნაშრომების ხელმძღვანელების შერჩევის პროცესს.

საბაკალავრო ნაშრომის თემის არჩევა

- დამამთავრებელი სემესტრის დასაწყისში, აკადემიური რეგისტრაციისთვის დადგენილ ვადებში, სტუდენტი სასწავლო ბარათში (sms.tsu.ge) აფიქსირებს თავის არჩევანს და რეგისტრირდება საგანზე: „საბაკალავრო ნაშრომი“ (შესაბამისი საბაკალავრო პროგრამის მითითებით).
- სემესტრის დაწყებიდან 2 კვირის განმავლობაში სტუდენტთა საბაკალავრო ნაშრომების სავარაუდო სათაურები და ხელმძღვანელების კანდიდატურები გადაეცემა ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს ფაკულტეტის ვებგვერდზე ასატვირთად.

საბაკალავრო ნაშრომის სტრუქტურა

საბაკალავრო ნაშრომის სტრუქტურა შედგება შემდეგი ნაწილებისაგან:

1. თავფურცელი (სატიტულო ფურცელი)
2. ანოტაცია (ქართულ ენაზე)
3. სარჩევი (შინაარსი)
4. შესავალი
5. ტექსტის ძირითადი ნაწილი
6. დასკვნა
7. გამოყენებული ლიტერატურის სია

თავფურცელი (სატიტულო ფურცელი): (ივსება ქვემოთ მოყვანილი წესის მიხედვით)

- უმაღლესი სასწავლო დაწესებულებისა და პროგრამის დასახელება (ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, საბაკალავრო პროგრამის დასახელება) (შრიფტის ზომა: 14);
- სტუდენტის სახელი და გვარი მიეთითება 2-3 სმ-ის დაშორებით (შრიფტის ზომა: 16);
- შუა ნაწილში იწერება ნაშრომის სახელწოდება (შრიფტის ზომა: 16);
- ნაშრომის დასახელების ქვემოთ იწერება მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი, რომლის მოსაპოვებლად არის წარმოდგენილი ნაშრომი დასაცავად (შრიფტის ზომა: 14); (მაგ.: ნაშრომი შესრულებულია სოციოლოგიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად);
- თავფურცლის მარჯვენა ქვედა მხარეს იწერება ნაშრომის ხელმძღვანელის სახელი, გვარი, აკადემიური ხარისხი, აკადემიური თანამდებობა (შრიფტის ზომა: 12);
- ნაშრომის შესრულების ადგილი და დრო, ქალაქი და წელი მიეთითება სულ ქვემოთ, ფურცლის შუა ნაწილში (მაგ: თბილისი, 2015 წელი) (შრიფტის ზომა: 12)

სარჩევი (შინაარსი)

მოცემული უნდა იყოს ნაშრომის სრული ტექსტის ყველა თავისა და პარაგრაფის ზუსტი დასახელება თანმიმდევრულად მათი გვერდების ნომრის მარჯვენა მხარეს მითითებით. გვერდების ნუმერაცია უნდა დაიწყოს სარჩევის მომდევნო გვერდიდან თავფურცლის, ანოტაციის და შინაარსის გვერდების რაოდენობის გათვალისწინებით.

ანოტაცია

აისახება თემის აქტუალობა, მიზნები, ამოცანები, კვლევის საგანი, ობიექტი, ძირითადი შედეგები, სიახლე; მოცულობა 100-150 სიტყვა, ანოტაცია იწერება ქართულ ენაზე. ჯგუფური ნაშრომის ან შემოქმედებითი პროექტის შესრულებისას, ანოტაციაში უნდა გამოიკვეთოს და მიეთითოს თითოეული მონაწილის წვლილი.

შესავალი:

ნაშრომის ამ ნაწილში აისახება თემის აქტუალობა და მნიშვნელობა, ნაშრომის მიზნები და მოცანები, საკვლევი საგანი, გამოყენებული მეთოდ/ებ/ი, მიდგომები, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და საინფორმაციო რესურსები (ასეთის არსებობის შენთხვევაში).

ტექსტის ძირითადი ნაწილი:

ტექსტის ძირითადი ნაწილი უნდა დაიყოს თავებად და პარაგრაფებად. ტექსტში უნდა ჩანდეს საკვლევ საკითხზე არსებული ლიტერატურის მიმოხილვა, თეორიული და ემპირიული კვლევის ეტაპები და შედეგები.

დასკვნა: ასახავს კვლევის/შემოქმედებითი პროექტის თეორიულ და პრაქტიკულ შედეგების ინტერპრეტაციას, ძირითადი დასკვნები, მიგნებები ან/და რეკომენდაციები.

ტექსტის გაფორმების წესი:

1. ტექსტი აკრეფილი უნდა იყოს A4 ზომის სტანდარტულ ფურცელზე
2. შრიფტის სახე - Sylfaen
3. ტექსტის შრიფტის ზომა - 12
4. თავები ინომრება თანმიმდევრულად
5. პარაგრაფს დაესმის თავისა და პარაგრაფის ნომრები
6. თავების/პარაგრაფების შრიფტის ზომა - 16/14
7. სქოლიოს შრიფტის ზომა -10
8. სტრიქონებს შორის მანძილი -1,5 ინტერვალი;
9. ფურცლის გვერდზე ტექსტის მინდორი: მარცხნიდან -3 სმ, მარჯვნიდან -1 სმ, ზემოდან - 2.5 სმ, ქვემოდან 2.5ს;
10. ნაშრომის მოცულობა არანაკლებ 20 გვერდისა (დანართებისა და მითითებული ლიტერატურის გარეშე). ჯგუფური საბაკალავრო ნაშრომის მოცულობა 2 სტუდენტის შემთხვევაში 30 გვერდი, 3 სტუდენტის შემთხვევაში 40 გვერდი.

გამოყენებული ლიტერატურის მიმართ გასათვალისწინებელი მოთხოვნები:

საბაკალავრო ნაშრომი უნდა მომზადდეს სოციალურ მეცნიერებებში დამკვიდრებული APA-ს სტილის (ამერიკელ ფსიქოლოგთა ასოციაცია) გამოყენებით (იხ. ბმული http://www.waikato.ac.nz/library/study/referencing/styles/apa/examples/books).

პლაგიატი

ნაშრომში სხვათა მოსაზრებების, ფრაზებისა და წინადადებების გამოყენებას არასათანადო წესებით (ლიტერატურული წყაროს მითითების გარეშე) ეწოდება პლაგიატი.

პლაგიატი (plagiatus ლათ.) ნიშნავს მიტაცებულს. მეცნიერებაში პლაგიატი ეწოდება ნებსით თუ უნებლიედ, სხვისი იდეების საკუთარ იდეებად გასაღებას. ეს „იდეები“ შეიძლება იყოს ნაბეჭდი ან ელექტრონული მასალა, დაწყებული მარტივი წინადადებებითა და დამთავრებული მთელი პარაგრაფებით; ამასთან, ეს შეიძლება იყოს სტატისტიკური მონაცემები, ლაბორატორიული კვლევის შედეგები, ხელოვნების ნიმუშები და ა.შ. პლაგიატი შეიძლება იყოს განზრახული ან უყურადღებობით დაშვებული. პლაგიატის აღმოჩენის ნებისმიერ შემთხვევაში საბაკალავრო ნაშრომი მიმდინარე სემესტრში დაცვაზე არ დაიშვება.

საბაკალავრო ნაშრომის წარდგენა:

- დაცვამდე/განხილვამდე 2 კვირით ადრე სტუდენტი საბოლოოდ დასრულებულ საბაკალავრო ნაშრომის ელექტრონულ ვერსიას ატვირთავს სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის მიერ ამ მიზნით გამოყოფილ მისამართზე (https://tsu.ge/ge/faculties/social/hccla0ixc_o-h_tgp/bachprog/idpy0l0dzmwkf9er//). ამავდროულად საბაკალავრო ნაშრომის ბეჭდურ ვარიანტს სტუდენტი წარადგენს შესაბამის დეპარტამენტში; მითითებული ვადის გასვლის შემდგომ ვებ–გვერდი იხურება, აუტვირთავი საბაკალავრო ნაშრომი აღარ განიხილება და სტუდენტი დაცვაზე არ დაიშვება. ნაშრომის ელექტრონული ვერსიები გაეგზავნება დაცვის კომისიის წევრებს დაცვამდე 10 დღით ადრე.
- საბაკალავრო ნაშრომი უნდა იყოს აკინძული (ზამბარით აკინძული ან ყდაში ჩასმული);
- საბაკალავრო ნაშრომი ფასდება 100-ქულიანი სისტემით.
- ნაშრომების შეფასება შეიძლება განხორციელდეს როგორც საბაკალავრო ნაშრომის საჯარო დაცვის ფორმით, ისე საჯარო დაცვის გარეშე კომისიის დასკვნის საფუძველზე.

საბაკალავრო ნაშრომის შეფასება საჯარო დაცვის საფუძველზე:

- საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელმა ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს უნდა მიაწოდოს საბაკალავრო ნაშრომის საჯარო დაცვის თარიღი და ნაშრომების დაცვის კომისიის შემადგენლობა (არანაკლებ 3 წევრისა) ერთი თვით ადრე.
- საბაკალავრო ნაშრომის დაცვა ხდება საჯაროდ.
- ნაშრომი ფასდება დანართ #1ში მოცემული კრიტერიუმების მიხედვით;
- ხელმძღვანელი აფასებს ნაშრომს 40%–ის, ხოლო კომისია – 60%–ის ფარგლებში.
- პრეზენტაცია ფასდება კომისიის თითოეული წევრის მიერ. ამ კომპონენტში სტუდენტის საბოლოო შეფასება იანგარიშება კომისიის წევრთა შეფასების საშუალო არითმეტიკულით.
- საბაკალავრო ნაშრომი დაცულად ჩაითვლება და სტუდენტს შესაბამისი კრედიტი მიენიჭება, თუ მის მიერ მიღებული საბოლოო შეფასება მინიმუმ 51 ქულაა.
- საბაკალავრო ნაშრომის არადამაკმაყოფილებლად (F/FX) შეფასების შემთხვევაში, მისი დაცვაზე წარდგენა იმავე სემესტრში დაუშვებელია;
- საბაკალავრო ნაშრომის დაცვის პროცესი აისახება ოქმში, რომელსაც ადგენს კომისიის მდივანი.
- ოქმს თან უნდა ერთვოდეს ხელმძღვანელის და ასევე კომისიის მიერ დაწერილი საბოლოო შეფასების უწყისი, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის წევრები.

საბაკალავრო ნაშრომის შეფასება საჯარო დაცვის გარეშე

- საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელმა ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უნდა მიაწოდოს საბაკალავრო ნაშრომის განხილვის თარიღი მინიმუმ ერთი თვით ადრე.
- დეპარტამენტი გამოყოფს შემფასებელს/შემფასებლებს, რომელთა დასკვნა მტკიცდება დეპარტამენტის სხდომაზე. ორი ან მეტი შემფასებლის არსებობის შემთხვევაში საბოლოო ნიშანი გამოითვლება როგორც შეფასებების საშუალო არითმეტიკული.
- ნაშრომი ფასდება დანართ #1ში მოცემული კრიტერიუმების საფუძველზე;
- საბაკალავრო ნაშრომი დაცულად ჩაითვლება და სტუდენტს შესაბამისი კრედიტი მიენიჭება, თუ მის მიერ მიღებული საბოლოო შეფასება მინიმუმ 51 ქულაა.
- საბაკალავრო ნაშრომის არადამაკმაყოფილებლად (F/FX) შეფასების შემთხვევაში, მისი წარდგენა იმავე სემესტრში დაუშვებელია;
- საბაკალავრო ნაშრომის დაცვის პროცესი აისახება დეპარტამენტის სხდომის ოქმში.
- ოქმს თან უნდა ერთვოდეს საბოლოო შეფასების უწყისი, რომელსაც ხელს აწერენ მიმართულების სხდომის მონაწილეები.

დაცვის შემდგომი პროცედურები:

- დაცვიდან ორ დღეში ოქმი და უწყისი წარედგინება ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს, სტუდენტის სასწავლო ბარათში შეფასების შესატანად.
- სტუდენტთა საბაკალავრო ნაშრომები ინახება ფაკულტეტზე თსუ-ში დადგენილი წესის მიხედვით.

საბაკალავრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები:

1.საბაკალავრო ნაშრომი ფასდება ხელმძღვანელის (40 ქულა) მიერ	მაქსიმალური ქულა – 40 **(დაცვაზე გასვლის წინაპირობა მინიმუმ 20 ქულა)**
ა) შინაარსობრივი მხარე (30 ქულა): ➢ საკვლევი საკითხის რელევანტური თეორიების, პრინციპებისა და ფაქტობრივი მასალის ცოდნა და კრიტიკული გააზრება–10 ქულა; ➢ ანალიზის, არგუმენტებისა და დასკვნების გამართულობა - 10 ქულა; ➢ ნაშრომის ენობრივი და სტილისტური გამართულობა –10 ქულა **ბ) ფორმალური მხარე (10 ქულა) :** ➢ გაფორმება, ციტირება, სქოლიო, სარჩევი, ანოტაცია და ა.შ..) – 10 ქულა	
2. საბაკალავრო ნაშრომის პრეზენტაცია (ფასდება კომისიის წევრების მიერ საჯარო დაცვის დროს)	მაქსიმალური ქულა – 60 **(ნაშრომი დაცულად ჩაითვლება თუკი სტუდენტი საჯარო დაცვაზე მიიღებს მინიმუმ 31 ქულას)**
ა) ნაშრომის შინაარსობრივი მხარე (30 ქულა): ➢ საკვლევი საკითხის აქტუალობა - 5 ქულა; ➢ კვლევის მეთოდოლოგია, პირველადი/მეორადი მონაცემების ანალიზის სიცხადე – 5 ქულა ➢ თეორიის და ემპირიული მასალის საკვლევი საკითხის რელევანტური თეორიების, პრინციპებისა და ფაქტობრივი მასალის ცოდნა და კრიტიკული გააზრება–10 ქულა; ➢ ანალიზის, არგუმენტებისა და დასკვნების გამართულობა -10 ქულა; **ბ) პრეზენტაციის შინაარსობრივი მხარის შეფასება 20 ქულა):** ➢ საპრეზენტაციო მოხსენების რელევანტურობა საბაკალავრო ნაშრომის შინაარსთან– 5 ქულა ➢ არგუმენტირებული მსჯელობა – 5 ქულა ➢ აუდიტორიასთან კომუნიკაცია ეთიკის სტანდარტების გათვალისწინებითა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით–10 ქულა **გ) ნაშრომისა და პრეზენტაციის ფორმალური მხარე – 10 ქულა** ➢ საპრეზენტაციო მასალის გაფორმება და შესრულების დონე – 10 ქულა ➢ ნაშრომის/პრეზენტაციის ენობრივი და სტილისტური გამართულობა –10 ქულა	
ნაშრომის საბოლოო შეფასება (ხელმძღვანელის და კომისიის შეფასება)	**მაქსიმალური ქულა – 100** **დადებითი შეფასება – მინიმუმ 51 ქულა**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საბაკალავრო პროგრამის დასახელება

სტუდენტის სახელი, გვარი

საბაკალავრო ნაშრომის დასახელება

ნაშრომი შესრულებულია .... ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: სახელი, გვარი

აკადემიური თანამდებობა

თბილისი
201…

დანართი №2

სადისერტაციო თემების დამტკიცება

1. **ფარცხალაძე ნათელა** -„ცხოვრების ხარისხი, როგორც ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმის შეფასების მეთოდი"; სამეცნიერო ხელმძღვანელი: იაგო კაჭკაჭიშვილი; სოციალური მუშაობის სადოქტორო პროგრამა; 2014-2015 წლის ჩარიცხვა (2017 წლის 12 იანვრის სხდომის ოქმი #1)

2. **ფუტკარაძე კახა** - „რელიგიური კონფლიქტების პრევენცია საქართველოში (აჭარელ მუსლიმთა მაგალითზე); სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი გუგული მაღრაძე, სადოქტორო პროგრამა „კონფლიქტების ანალიზი და მართვა", 2016-2017 წლების ჩარიცხვა (2017 წლის 12 იანვრის სხდომის ოქმი #1).

3. **საბაური შალვა** - „სახელმწიფოებრივი იდენტობის ფორმირების საკითხი ბრიტანეთის ინდოეთში (1919-1947 წლები)"; სამეცნიერო ხელმძღვანელი: რევაზ ჯორბენაძე; კონფლიქტების ანალიზისა და მართვის სადოქტორო პროგრამა, 2015-2016 წლების ჩარიცხვა (2017 წლის 30 მარტის სხდომის ოქმი #2).

4. **ფანგანი ნუცა** -„იძულებით გადაადგილებული პირები - მედიის მიერ შექმნილი დამოკიდებულებები და ეფექტები (1993-2016 წლები); სამეცნიერო ხელმძღვანელები: ასოცირებული პროფესორები ნათია კუპრაშვილი და ხათუნა მაისაშვილი; „მასობრივი კომუნიკაციის" სადოქტორო პროგრამა; 2016-2017 წლების ჩარიცხვა (2017 წლის 30 მარტის სხდომის ოქმი #2).

5. **ქინქლაძე იოსები** - „დასახლებების მედეგობის კვლევა გეოსაინფორმაციო სისტემების გამოყენებით (წყალდიდობა-წყალმოვარდნების რისკების მაგალითზე") ხელმძღვანელები: პროფესორი იოსებ სალუქვაძე და ასოც. პროფესორი ვაჟა ტრაპაიძე, ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი; 2014-2015 წლების ჩარიცხვა (2017 წლის 30 მარტის სხდომის ოქმი #2).